ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3251882

ნომერი: AR1501716

თარიღი : 05.05.2017

გაცემის თარიღი : 22.05.2017

გაცნობის თარიღი : 22.05.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვარკეთილი 3-ის 2 მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის/ ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3-ის II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვ.01/019) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვ. 01/036) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვეთი N1/42) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვ. 1/47) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვეთი N1/49) / ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3-ის II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვეთი N1/20) / ქალაქი თბილისი , ვარკეთილი-3-ის II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვეთი N1/43) / ქალაქი თბილისი , დასახლება ვარკეთილი-3 , II მ/რ-სა და ვარკეთილის მასივს შორის, (ნაკვეთი N1/46) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ბექა კიკალეიშვილი პ/ნ 01009014841
- ი. ჭავჭავაძის გამზ. N37ლ

ორგანიზაცია:
- შპს "იბერკომპანი" კოდი: 211358181

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვისგაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის#14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 5 მაისის #AR1501716 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.20.001.107) ბენზინ ან დიზელ გასამართი სადგურის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სატრანსპორტო ზონა-2 (ტზ-2), რომელიც წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონა, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები); დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ამ წესების მე-15 მუხლით განსაზღვრული ქვეზონით მოცული შენობა-ნაგებობებისა და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფი სხვა საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობებისა კანონმდებლობის შესაბამისად;

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1
–
კოეფიციენტი
კ-2
–
კოეფიციენტი
კ-3
0,1
კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე
–
ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი
–
კვ.მ
მინიმალური სიგანე
–
მეტრი
მინიმალური სიღრმე
–
მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე
–
მეტრი

შენიშვნა
–

თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2016 წლის 19 თებერვლის #39 განკარგულებით ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 3–ის 2მ/რ–სა და ვარკეთილის მასივს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის დასამუშავებლად გაიცა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. შესაბამისად N01.19.20.001.107 საკადასტრო ერთეულზე ბენზინ ან დიზელ გასამართი სადგურის განთავსებისთვის, საკითხი დაყენებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილებისა ან მისი გაუქმების კუთხით.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდივიდუალური სამშენებლო განვითარების შემთხვევაში სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.